ლეონიდ ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკა

(1965 - 1982 წწ.)

ეთეი ბოკეღავაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა თანამედროვე ქართულ, რუსულ და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული აქტუალობით სარგებლობს. იქმნება საგანგებო გამოკვლევები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისა და კონკრეტულად, მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესწავლას ეძღვნება. აღსანიშნავია ის, რომ არსებულ გამოკვლევათა დიდი ნაწილი გასული საუკუნის 20–60-იანი წწ-ის საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის კვლევას მოიცავს. მხოლოდ უახლეს პერიოდში შესრულებულ მონოგრაფიებში ვხვდებით 70–80-იანი წლების საბჭოთა იმპერიაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების მეცნიერული შესწავლის მცდელობებს.

ქართულ სამეცნიერო რეალობაში წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა პერიოდის რელიგიური პოლიტიკის საკითხების კვლევა, თუმცა, საკვლევ საკითხთა ქრონოლოგიური ჩარჩო აქაც ძირითადად XX ს-ის 20-60-იანი წლებით შემოიფარგლება. უფრო კონკრეტულად კი, მისი ზედა ზღვარი ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის ბოლო პერიოდით, კერძოდ, 60-იანი წლების პირველი ნახევრით განისაზღვრება. ნაკლები ყურადღება ეთმობა და პრაქტიკულად შეუსწავლელია ლეონიდ ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკა და მისი განვითარების ტენდენციები.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, ლეონიდ ბრეჟნევის მმართველობის პერიოდის საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის საფუძვლების, ძირითადი ასპექტების, საშინაო და საგარეო ფაქტორების და მათი გავლენის შედეგების გაშუქება. თანამედროვე რუსულ, ევროპულ, ამერიკულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული შრომებისა და საარქივო დოკუმენტაციის ანალიზი და შეფასება.

კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ-შემეცნებით, კონტენტ-ანალიზის, ისტორიულ-ტიპოლოგიური, შედარებითი, ბიოგრაფიული, რეტროსპექტული, ინდუქციური, დედუქციური და სისტემური კვლევის მეთოდებს, რაც თავისთავად, გულისხმობს საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროების მრავალმხრივ, კომპლექსურ შესწავლას და ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ისტორიული სურათის რეკონსტრუქციის მცდელობას.

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანები მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა როგორც მსოფლიოს, ისე საბჭოთა კავშირის ისტორიაში. 1964 წლიდან ხელისუფლებაში განხორციელდა ადმინისტრაციული ცვლილებები, რასაც ნ. ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე მისი ლეონიდ ბრეჟნევით ჩანაცვლება მოჰყვა. ცვლილებებს თითქოს უნდა შეექმნა ნიადაგი საბჭოთა სისტემის განახლებისთვის, რომელსაც ქვეყანა ხრუშჩოვის დესტალინიზაციის პოლიტიკის შედეგად მომწიფებული კრიზისიდან უნდა გამოეყვანა. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობდა საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიისა თუ საშინაო და საგარეო პოლიტიკის რადიკალურ გარდაქმნას. ის მიზნად ისახავდა საბჭოთა იმპერიის წინაშე მდგარი შიდა საკავშირო, თუ გლობალური გამოწვევების დაძლევას უფრო ფრთხილი, თანმიმდევრული ნაბიჯებით. ხელისუფლების მთავარი საზრუნავი კვლავ კავშირში შემავალი ერების პოლიტიკური კონსოლიდაცია, ეკონომიკური ინტეგრაცია და სოციალიზმის განმტკიცება იყო. (გურული, 2003)

ახალი ხელისუფლების კურსი, მისი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, მრავალ სფეროსა და მიმართულებას მოიცავდა, თუმცა, ჩვენი კვლევის ობიექტიდან გამომდინარე, მოცემულ ნაშრომში მის რელიგიურ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მოცემული პერიოდის საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რელიგიური ორგანიზაციებისა და კონკრეტულად, მართლმადიდებელი ეკლესიისადმი.

რუსულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ ბრეჟნევის „უძრაობის“ ხანა, „ხრუშჩოვისეული დათბობის“ რეფორმებისგან

განსხვავებით, წარმოადგენდა სტაბილურობის პერიოდს და უფრო მეტიც, გარკვეულ დათბობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებში. (Сазонов, 2015) რომ ეკლესიამ მიიღო მნიშვნელოვანი თავისუფლება და ათეისტური პროპაგანდა პრაქტიკულად არ იგრძნობოდა (Цешковский, 2013).

აღნიშნული მოსაზრების დამკვიდრებისა და გავრცელების საფუძველს წარმოადგენდა ის ღონისძიებები, რომელთა გატარება ბრეჟნევის ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლის პირველივე წლიდან დაიწყო. კერძოდ, 1964 წლიდან რუსულ პრესაში უკვე იწყება ანტირელიგიური სტატიების რიცხვის შემცირება; მათი ტონიც ხდება ნაკლებად შეურაცხმყოფელი, სუსტდება რელიგიისა და სასულიერო პირების დისკრედიტაციისკენ მიმართული, ცილისმწამებლური კამპანია, ეკლესიების დახურვას აღარ აქვს მასობრივი ხასიათი; მცირდება მოქალაქეთა დაპატიმრება რელიგიური ნიშნით; იწყება მორწმუნეთა გათავისუფლება ბანაკებიდან და სხვ. (Anderson, 1994/2002, p. 68; Сазонов, 2015)

სსრკ-ს უზენაესმა სასამართლომ გადახედა მორწმუნეთა უფლებების მრავალრიცხოვან დარღვევებს. გათავისუფლებულ იქნენ სამღვდელო პირებიც და უფრო მეტიც, ხელისუფლებამ ოფიციალურ დონეზე აღიარა, რომ მორწმუნეთა მისამართით განხორციელდა უკანონო ქმედებები. (Цешковский, 2013).

ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია საუკეთესოდაა წარმოჩენილი რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის, ვლადიმერ კუროედოვის ნაწერებში. (კუროედოვი რელიგიის საქმეთა საბჭოს 1965-1984 წწ-ში მართავდა).

მისი აზრით, არსებითი პრინციპი, რომელიც მართავს ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობებს, იყო ჩაურევლობის პრინციპი, თუმცა ეს არ ათავისუფლებს რელიგიურ გაერთიანებებს იმ ვალდებულებისგან, რომ დაიცვან საბჭოთა კანონები. ხაზს უსვამს რა მის ზრუნვას მორწმუნეთა უფლებების დასაცავად, კუროედოვი აღიარებს, რომ წარსულში იყო შეურაცხყოფა, მაგრამ ამტკიცებდა, რომ როდესაც ეს მოხდა, მისი საბჭო სწრაფად ჩაერთო მათი გამოსწორების საქმეში (Anderson, 1994/2002, p. 78).

ახალი ხელისუფლების ამგვარ კომპრომისულ პოზიციას, ცხადია, თავისი მიზეზები და მიზნები ჰქონდა.

ლეონიდ ბრეჟნევი, აცნობიერებდა რა რელიგიის გავლენისგან მოსახლეობის გათავისუფლების საქმეში წინამორბედი ხელისუფლების მიერ ნაცადი, ხისტი მეთოდების წარუმატებლობას, საჭიროდ თვლიდა, ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში არსებული სტრატეგიების გადასინჯვას.

უკვე 1965 წლის აგვისტოში „Комсомольская правда“ იუწყებოდა სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებას:

„დღეს ჩვენ ისევ ვიმშვიდებთ საკუთარ თავს (იმ ფიქრით, რომ) ჩვენს ქვეყანაში ბევრმა მორწმუნემ დატოვა ეკლესია და რელიგია. ეს არის თავის მოტყუება. სიმართლე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დიდ ნაწილში არც ეკლესიებია და არც კულტის მსახურები არიან, მაგრამ მორწმუნეები არიან.... მრევლის შეზღუდვა და დახურვა მორწმუნეებს ათეისტებად არ აქცევს. პირიქით, ის უფრო იზიდავს ადამიანებს რელიგიისკენ და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს მათ გულებს.” (Conquest, 1968, p. 62)

აშკარა იყო, რომ ხელისუფლება სულაც არ აპირებდა ათეისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმას და რელიგიასთან ბრძოლის შეწყვეტას. პირიქით, იგეგმებოდა გაცილებით უფრო ეფექტური, დახვეწილი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეთა ცნობიერებიდან რელიგიის, როგორც წარსულის გადმონაშთის შედარებით უმტკივნეულოდ აღმოფხვრისკენ.

1965 წლიდან იწყება რელიგიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი გადაფასება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ოფიციალური კურსის ერთგვარი „დემოკრატიზაციისაკენ“. ლ. ბრეჟნევმა რელიგიურ გაერთიანებებზე პირდაპირი დარტყმის ნაცვლად, ფოკუსირება მოახდინა ათეისტურ განათლების გაძლიერებაზე. ის საკავშირო ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ მომხდარიყო ხრუშჩოვისდროინდელი პროპაგანდისტული ძალისხმევის კომპლექსური გადაფასება და რწმენის სისტემის ყოველმხრივი შესწავლა, იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო უფრო ეფექტური პროპაგანდის შექმნა.

მისი მიზანი იყო „იდეალური საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბება, ანუ პიროვნების, რომელიც წარმოაჩენდა ლენინურ იდეოლოგიას ყველაფერში, რასაც აკეთებდა და სწამდა. მისი აზრით, რელიგიისგან ნამდვილი ჩამოშორება მხოლოდ მაშინ მოხდებოდა, თუ თითოეული მორწმუნე შეიცვლებოდა ფსიქოლოგიურად და ამ ცვლილების მაპროვოცირებელი ძალა იქნებოდა არა ფიზიკური განადგურების საფრთხე, არამედ ათეისტური განათლების ხარისხის ამაღლება.

ლ. ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკის ფასადურ ლიბერალიზაციას, წინამორბედი ხელისუფლების სტრატეგიის კრახის გარდა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები ჰქონდა. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს მოცემული პერიოდის საერთაშორისო ვითარება და „ცივი ომის“ პირობები. კერძოდ, „დაძაბულობის განმუხტვა“ („Detente”) დასავლეთთან და სსრკ-ის მიერ არჩეული ღია, თანამშრომლობითი პოზიცია. ბრეჟნე-

ვის ადმინისტრაცია ცდილობდა, ერთი მხრივ, ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებას, მეორე მხრივ, კი, ნ. ხრუშჩოვის მიერ დასავლეთთან პოლიტიკურ და სამხედრო კრიზისში შეყვანილი საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯის რეაბილიტაციას, რაშიც მას კავშირში არსებული სხვადასხვა და განსაკუთრებით, რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა სჭირდებოდა, ვინაიდან მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ დასავლეთი ზედმიწევნით კარგად იყო ინფორმირებული სსრკ-ში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისა და ზოგადად, ადამიანის უფლებათა საერთო მდგომარეობის შესახებ და ამას ხშირად იყენებდა მეტოქის მაკომპრომეტირებელ საშუალებად. განსაკუთრებით ეს ეხებოდა რელიგიურ გაერთიანებათა და მორწმუნეთა ჩაგვრას, რის გამოც სსრკ-ს ხელმძღვანელობა დასავლური სამყაროს მხრიდან არაერთხელ გამხდარა საჯარო კრიტიკის ობიექტი.

სწორედ აღნიშნულით იყო განპირობებული ლ. ბრეჟნევის ფრთხილი, მოზომილი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. თუმცა, რელიგია კვლავ რჩებოდა ათეისტური იდეოლოგიის მთავარ ოპონენტად და ხელისუფლებაც აქტიურად ინარჩუნებდა მასზე კონტროლს.

ლ. ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკა პირობითად შეგვიძლია 2 ეტაპად დავყოთ:

ა) XX ს-ის 60-იანი წლების II ნახევრიდან - 70-იანი წლების II ნახევრამდე,

ბ) XX ს-ის 70-იანი წლების II ნახევრიდან - 1982 წლამდე.

თითოეული ეტაპი ერთმანეთისგან განსხვავებული ტენდენციებით, საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე არსებული საშინაო და საგარეო გამოწვევებით, ორიენტირებითა და შედეგებით ხასიათდება. მაგალითად, თუკი მმართველობის დასაწყისში ლეონიდ ბრეჟნევის სახელისუფლებო აპარატი პრიორიტეტულ მიმართულებად ნიკიტა ხრუშჩოვის რეპრესიული საეკლესიო პოლიტიკის გმობასა და რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გარეგნულად შედარებით კომპრომისული კურსის გატარებას მიიჩნევდა, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან, დისიდენტური მოძრაობის გაძლიერების, საზოგადოების ეკლესიასთან დაახლოებისა და დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიის წარმატების პირობებში, არჩეული კურსი იცვლება და ბრეჟნევის დახვეწილი პოლიტიკა ხდება უფრო რადიკალური და ხისტი. ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის ფორმის (და არა შინაარსის) ტრანსფორმაცია ცხადია, გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული და შესაბამის მიზნებს ემსახურებოდა. წინამდებარე ნაშრომში თანმიმდევრულად განვიხილავთ ოფიციალური ხელისუფლების კურსის ტრანსფორმაციის გზას 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან - 80-იანი წლების დამდეგამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრეჟნევის ხელისუფლება მმართველობის პირველი წლებიდანვე იწყებს მორწმუნე საზოგადოებასთან და რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობაში „დაშვებული შეცდომების“ აღიარებას. ჟურნალ „Наука и религия“ - ში იწყება ხრუშჩოვის პოლიტიკის კრიტიკის გამოქვეყნება და იმ უხეში, რეპრესიული ტაქტიკის გმობა, რომელსაც ის იყენებდა.

ერთგვარ „დეხრუშჩოვიზაციას“ რელიგიურ სფეროში, მოჰყვა პოზიტიური ცვლილებების განხორციელება ეკლესიისა და მორწმუნეთა მიმართ. 1965 წლის ოქტომბრიდან ხელისუფლებამ დააანონსა, რომ ამიერიდან რეგისტრირების შესაძლებლობა მიეცემოდა ყველა იმ რელიგიურ თემს, ვინც გამოთქვამდა მზადყოფნას, დამორჩილებოდა რელიგიის შესახებ საბჭოთა კანონებს. დაიწყო სასულიერო და რელიგიური ნიშნით დაპატიმრებულ საერო პირთა გათავისუფლება; შესუსტდა ღია ანტირელიგიური პროპაგანდა; შემსუბუქდა საკანონმდებლო შეზღუდვები; გაიზარდა ეკლესიის ტრადიციული ფუნქციები, როგორებიცაა: ჯვრისწერა, ნათლობა.. (Childers, 2012, pp. 73-74).

ხსენებულ ცვლილებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა წარმოეჩინა ხელისუფლების კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი დამოკიდებულება რელიგიური თემების მიმართ და შეექმნა რელიგიის სფეროში მდგომარეობის სტაბილიზაციის შთაბეჭდილება. ფასადურად ასეც ჩანდა. თუმცა, ზემოთაღწერილი პოზიტიური ღონისძიებების პარალელურად, ხელისუფლების მიერ პარალელურ რეჟიმში მიღებულმა ზომებმა და გადაწყვეტილებებმა, ჩანასახშივე დააზიანა სტაბილიზაციის გეგმა. ასე, მაგალითად: თუკი ბრეჟნევმა რელიგიურ თემებს დარეგისტრირების შესაძლებლობა მისცა, იმავდროულად შეიქმნა საზოგადოებრივი კომისიები, რომლებსაც კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დაცვის კონტროლი, სხვადასხვა დასახლებებში რელიგიური ცხოვრების შესწავლა და სასულიერო პირთა საქმიანობის მონიტორინგი დაევალათ. (Цешковский, 2013). ღვთისმსახურთა და საერო პირთა პატიმრობიდან და ბანაკებიდან გათავისუფლების პარალელურად, კვლავ გრძელდებოდა მორწმუნეთა ჩაგვრა სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა დონეზე, დისკრიმინაცია სამსახურში მიღებაზე, შეზღუდვა საკუთარი მრწამსის ღიად გამოხატვაზე და სხვ. (Сазонов, 2015, стр. 47).

თუკი ხელისუფლებამ ეკლესიებს მისცა რელიგიური რიტუალების ჩატარების საშუალება, პარალელურად, სცადა ალტერნატიული ცერემო-

ნიების (შრომასთან და ხალხურ ტრადიციებთან დაკავშირებული) შექმნა, რომლებსაც კონკურენცია უნდა გაეწია საეკლესიო რიტუალებისა და ტრადიციებისათვის.

რელიგიურ თემებთან თანამშრომლობის საფარველქვეშ, ბრეჟნევის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ეკლესიაზე და განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ, ანუ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაზე კონტროლის გაძლიერება, ამ მიზნით, 60-იანი წლების შუა პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო და რელიგიურ საქმეთა საბჭო გაერთიანდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოში. უკრაინელი მკვლევრისა და სასულიერო მოღვაწის, მღვდელ ვიქტორ ცეშკოვსკის შეფასებით, ამით „ფაქტობრივად, რუსეთის ეკლესია მოექცა ხელისუფლების სრული კონტროლის ქვეშ. ახლა ეკლესია ვალდებული იყო გაეკრიტიკებინა კათოლიციზმი, როგორც კაპიტალიზმის მსახური და ყველა დასავლური ქვეყანა, რომლებიც საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ მტრებად იყვნენ წარმოჩენილნი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ პირველ პლანზე გადმოიწია. ფაქტობრივად, ეკლესია გახდა „მებრძოლი ვერძი ” მშვიდობისათვის ბრძოლაში. თუკი მანამდე მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო მხოლოდ კოორდინაციას უწევდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, ახლა საბჭოს მაკონტროლებელი ფუნქცია გააჩნდა. ამჯერად ხელისუფლება ცდილობდა ეკლესიის სრულ კონტროლს.“ (Цешковский, 2013).

ჩვენი აზრით, ეკლესიასთან ურთიერთობის ბრეჟნევისეული სტრატეგიის ყველაზე საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ე.წ. ისტორიული „დაყავი და იბატონეს“ პრინციპი, რომელსაც ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, შიგნიდან უნდა გაეტეხა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის იდეოლოგიური მუშაობა, რომლის საშუალებითაც მოხდა საბჭოთა კავშირის მორწმუნეთა დიფერენცირება. კერძოდ, მათი დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) ნორმალურ მორწმუნეებად (რომელთა კატეგორიაშიც მორწმუნეთა უმრავლესობას მოიხსენიებდნენ) და 2) მცირერიცხოვან რელიგიურ ფანატიკოსებად, რომლებმაც პირველ კატეგორიას „ცუდი რეპუტაცია შეუქმნეს“. დღის წესრიგში დადგა საკითხი „გაგება - დახმარებისთვის“. „ათეისტ მუშაკებს შეახსენეს, რომ მორწმუნეთა უმრავლესობა იყო პატიოსანი მშრომელი, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აშენებდა კომუნიზმს“. (Childers, 2012, pp. 73-74)

ბრიტანელი მკვლევარი, ფილიპ უოლტერსი, თავის ნაშრომში „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკის მიმოხილვა“ იშველიებს რელიგიის საქმეთა საბჭოს ჩინოვნიკის, ფუროვის საიდუმლო მოხსენებას 60-იანი წლების რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, რომელმაც დასავლეთში შედარებით გვიან, 70-იან წლებში შეაღწია. ხსენებული დოკუმენტის საფუძველზე, მკვლევარი შენიშნავს, რომ ხელისუფლება სასულიერო იერარქებს 3 კატეგორიად ყოფდა: 1) იმ კატეგორიას, რომელიც ყველაზე მისაღები იყო ხელისუფლებისთვის, მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც მინიმუმს აკეთებდა რწმენის გაზრდისთვის, მაგრამ მზად იყო საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო და საბჭოთა პოლიტიკის სასარგებლოდ ესაუბრა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2) მეტ-ნაკლებად მიუღებელი სასულიერო პირები იყვნენ ისინი, ვისი პრიორიტეტებიც იყო ამ ყველაფერთან დაპირისპირება/შეწინააღმდეგება. 3) „ერთგული“ სასულიერო პირები და რელიგიური გაერთიანებები იყვნენ ისინი, რომლებიც მზად იყვნენ შემოფარგლულიყვნენ რეგისტრირებულ შენობაში ღვთისმსახურებით და უარი ეთქვათ უფრო მეტ აქტივობაზე და მორწმუნეთა მებრძოლ ჯგუფებზე. შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლება აქტიურ და საჯარო დემონსტრირებას ახდენდა იმ „უპირატესობებისა“ და პრივილეგიების, რომლითაც სარგებლობდნენ მათი უფრო „კანონმორჩილი“ ძმები, რათა ფართო რელიგიური საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, როგორ შეეძლოთ „რელიგიური თავისუფლების“ გარანტიის მიღება „ერთგულ საბჭოთა მოქალაქეებს.“ (Walters, 1993/2005, p. 25).

ფაქტია, რომ მორწმუნეთა და სასულიერო პირთა დიფერენცირება, ერთი მხრივ, ხელისუფლების მიმართ კონფორმისტულად განწყობილი ნაწილის გამოვლენასა და მხარდაჭერას, მეორე მხრივ კი, მათი მეშვეობით, შეურიგებელი და დისიდენტური (როგორც საეკლესიო, ისე საერო) ძალების დასუსტებას ისახავდა მიზნად. მათი ურთიერთდაპირისპირებით კი, საზოგადოებაში ეკლესიისადმი ნდობისა და გავლენის დაკარგვას იმედოვნებდა, რომლის ლოგიკური შედეგიც რწმენის აღმოფხვრა და რელიგიის კრახი უნდა ყოფილიყო.

უოლტერსის შეფასებით, მორწმუნეთა ბრეჟნევისევისეული დევნა უფრო დისკრიმინაციული იყო, ვიდრე ნ. ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში. ასე, მაგალითად: ხრუშჩოვის ანტირელიგიური კამპანიის დროს ყველა მორწმუნე - ახალგაზრდა თუ მოხუცი, განათლებული თუ გაუნათლებელი, საერო თუ სასულიერო პირი - ერთნაირად განიცდიდა დევნას. ბრეჟნევის დროს კი, გაუნათლებელი და მოხუცები იყვნენ ნებადართულნი ეკლესიაში დასწრებისთვის, კრიტიკისა და შეურაცხყოფის გარეშე. მხოლოდ ყველაზე აქტიური სასულიერო პირები იღებდნენ ხელისუფლებისგან დარტყმას. ასევე, ის ახალგაზრდები, განათლებული და საპასუხისმგებლო ადმი-

ნისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი პირები, რომლებიც ავლენდნენ რაიმე სახის აქტიურ ინტერესს რელიგიის ან რელიგიური უფლებების მიმართ. (Walters, 1993/2005, p. 26).

როგორც ვხედავთ, ლ. ბრეჟნევის სტრატეგია ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში გაცილებით უფრო რაციონალური და პლურალისტური იყო. დეკლარირებულად, ხელისუფლება პატივს სცემდა საკუთარი მოქალაქეების რელიგიურ გრძნობებს და თანამშრომლობდა თითქმის ყველა დენომინაციასთან, თუმცა, სინამდვილეში, ძალისხმევას არ იშურებდა საზოგადოებაში რელიგიისადმი ნიჰილისტური და ინდიფერენტული დამოკიდებულების დანერგვისა და მათი ცნობიერების გარდაქმნისთვის. გარდა ზემოთ ჩამოთვილი აქტივობებისა, ბრეჟნევის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობდა ანტირელიგიურ განათლებას.

საჯარო ანტირელიგიური პროპაგანდის შესუსტების საპირწონედ მთავრობამ ათეისტური პროპაგანდის გაძლიერება და შესაბამისი განათლების ხარისხის ამაღლება მიიჩნია. 1966 წელს დაიწყო ჟურნალ „Вопросы научного атеизма“ (სამეცნიერო ათეიზმის კითხვები) გამოცემა. (Childers, 2012, pp. 73-74). 1969 წელს ჩატარდა თითქმის 10. 000 ლექცია ათეიზმის საკითხებზე. (Цешковский, 2013). ნამდვილი „საბჭოთა მოქალაქის“ ჩამოყალიბება, ხელისუფლების იმედით, სწორედ ამგვარი მექანიზმებით იყო შესაძლებელი. თუმცა, უკვე 70-იანი წლების დამდეგისთვის ცხადი გახდა, რომ ლ. ბრეჟნევის მიერ შემუშავებულმა პლურალისტურმა სტრატეგიამ ვერ გაამართლა შექმნილი მოლოდინები და უფრო მეტიც, სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიღო. კერძოდ, ოფიციალურ დონეზე მისმა კომპრომისულმა დამოკიდებულებამ მოქალაქეთა რელიგიურ ცხოვრებასთან, ხელი შეუწყო საზოგადოების და განსაკუთრებით, ახალგაზრდა ნაწილის დაახლოებას ეკლესიასთან. უკვე 1971 წლის 8 სექტემბერს, გაზეთი "Ленинградская правда" დანანებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული ცერემონიების [როგორიცაა ნათლობა და ქორწილები] რიცხვი გაიზარდა... და ასეთი რიტუალების მონაწილეები ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ. „ის ფაქტი, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა სულ უფრო და უფრო შორდება კომკავშირს, ცდილობს სემინარიაში შესვლას, დაქორწინებას, ეკლესიებში სიარულს და შვილების მონათვლას, სერიოზულ პრობლემას უქმნის ხელისუფლებას“. (Kowalewski, 1980, p. 282).

თუმცა, პრობლემას მხოლოდ ეს არ წარმოადგენდა. ხელისუფლების ფარდობითმა „ლიბერალიზმმა“ გაცილებით სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა მისი შემოქმედი. მხედველობაში გვაქვს დისიდენტური მოძრაობის წაახალისება, რომელიც შემდგომ ცალკეულ რესპუბლიკებში განვითარებულ ეროვნულ მოძრაობას დაუკავშირდა. რელიგიურმა დისიდენტებმა ამ პერიოდში უფრო და უფრო მეტი ჯგუფი შემოიკრიბეს. მიწისქვეშა ორგანიზაციებმა დაიწყეს ლეგალური მოღვაწეობა. 70-იან წლებში დისიდენტები გაჩნდნენ სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფში: ბაპტისტებში, ორმოცდაათიანელებში, ადვენტისტებში, კათოლიკეებში, ბუდისტებში. 70-იანი წლების შუა ხანებში გაძლიერდა მართლმადიდებლური დისიდენტობაც. (Anderson, 1994/2002).

დისიდენტური მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1975 წლის შემდეგ, როდესაც სსრკ-ს წარმომადგენლობამ ხელი მოაწერა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ფუნდამენტურ დოკუმენტს, ე.წ. „ჰელსინკის დასკვნით აქტს“. ჰელსინკის დასკვნითმა აქტმა განამტკიცა მეორე მსოფლიო ომის პოლიტიკური და ტერიტორიული შედეგები და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის 10 პრინციპი (ჰელსინკის დეკალოგი), (ნერგაძე, 2010). რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა „ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის“ პრინციპი, რომელსაც ეხმიანება დოკუმენტში შემავალი სხვა შეთანხმებაც. კერძოდ, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საკითხებში პოლიტიკური ვალდებულებები — მათ შორის, გადაადგილების, კონტაქტების, ინფორმაციის, კულტურისა და განათლების თავისუფლების საკითხებში — და პრაქტიკაში მათ განხორციელებაზე მეთვალყურეობა.

აქტის მიხედვით, იმ სახელმწიფოების ფარგლებში, რომელთაც აღიარებული ჰქონდათ აღნიშნული დოკუმენტი, არსებულ რელიგიურ კულტებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ეძლეოდათ თავიანთი მოღვაწეობის სფეროში კონტაქტების დამყარების, ინფორმაციისა და ვიზიტების გაცვლის საშუალება. აქტში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ადამიანის ძირითად თავისუფლებას აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს, ამიტომ შეთანხმების მონაწილე ქვეყნები პატივს უნდა სცემდნენ ადამიანს, მიუხედავად მისი რასისა, სქესისა, კანის ფერის, ენისა და რელიგიისა. (ლორია და სხვანი, 2006).

ჰელსინკის შეთანხმებასთან შეერთებამ გარკვეულწილად დააკმაყოფილა სსრკ-ის ტერიტორიული ინტერესები (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე), რის გამოც ხსენებული დოკუმენტი ბრეჟნევის ადმინისტრაციაში საბჭოთა დიპლომატიის გამარჯვებად იქნა აღქმული, თუმცა, პრობლემები მხოლოდ დაიწყო.

ჰელსინკის შეთანხმებამ სერიოზული ბიძგი მისცა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანი-

ზაციებისა და დისიდენტური მოძრაობის გააქტიურებას მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1975 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება რელიგიურ თემებთან ურთიერთობის საკითხს. ამჯერად, ბრეჟნევის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, მიეცა მათთვის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა (ცხადია, საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინტერესებისთვის) და სწორედ მათი მეშვეობით წარმოეჩინა საბჭოთა ხელისუფლების მზაობა ჰელსინკის შეთანხმების რელევანტური ქმედებებისთვის.

1976 წლის 18 ივნისს, ვ. კუროედოვის მიერ სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ 1976 წლის 9-19 მაისს ამერიკული სოციალურ-რელიგიური ორგანიზაციის "სინდისის ხმა" მოწვევით, აშშ-ს ეწვია სსრკ-ის სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლობითი დელეგაცია (რომელიც შედგებოდა 10 კაცისაგან და ხელმძღვანელობდა რუსი მართლმადიდებელი მიტროპოლიტი იუვენალი (ვ.კ. პოიარკოვი) - მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე). დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ რელიგიური ფიგურები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან, იუდაისტური თემიდან, ლიტვის კათოლიკური ეკლესიიდან, ლატვიის ლუთერანული ეკლესიიდან, სომხური ეკლესიიდან და ევანგელისტ ქრისტიანთა და ბაპტისტთა სრულიად საკავშირო საბჭოდან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ასეთი ინტერდენომინაციური დელეგაცია გაემგზავრა აშშ-ში.

კუროედოვი აუწყებს მინისტრთა საბჭოს, რომ „დელეგაციის ამოცანა იყო ორივე ქვეყნის რელიგიურ მოღვაწეებს შორის თანამშრომლობის გაფართოება საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში და სსრკ-სა და შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის შემდგომი შემცირების ხელშეწყობა, ასევე, დელეგაციის მიზანი იყო, ამერიკელებთან კონტაქტის პროცესში, ხელი შეეწყოთ იმ მცდარი წარმოდგენებისა და კონცეფციების გაფანტვაში, რომლებიც სსრკ-ში რელიგიისა და ეკლესიის მდგომარეობას ეხებოდა და რომლებიც აშშ-ში ფართოდ იყო გავრცელებული. (Corley, 1996, p. 276).

საინტერესოა ის, რომ ვიზიტის ფარგლებში, სსრკ-ის დელეგაციას რელიგიური მოღვაწეების გარდა, შეხვედრები ჰქონდა ამერიკელ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებთან. ისინი მიიღეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, გაეროში და ეწვივნენ თეთრ სახლს. დელეგაციის მიღებისას აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, [არტურ] ჰარტმანმა განაცხადა: „მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ რელიგიათაშორის კონტაქტებს, რომლებიც ხელს უწყობს ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებას და ჩვენ აშშ-ში არ განვასხვავებთ ამ კავშირებს ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის კონტაქტებისგან. (Corley, 1996, p. 276). აღნიშნულს ეხმიანება ორგანიზაცია 'სინდისის ხმის' პრეზიდენტის, რაბინ არტურ შნაიერის კვალიფიციური შეფასებაც: „კონტაქტები რელიგიურ მოღვაწეებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ სფეროებში. რაც მთავარია, ურთიერთგაგებასა და ნდობას კონტაქტების პროცესში, შეუძლია მოიტანოს თანამშრომლობა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა გარკვეულ საკითხებზე." (Corley, 1996, p. 276).

წერილის დასასრულს, კუროედოვი იმოწმებს შეერთებულ შტატებში საბჭოთა საელჩოს განცხადებას, სადაც აღნიშნული ვიზიტი იყო შეფასებული: - სსრკ-ს რელიგიური მოღვაწეების დელეგაციის ვიზიტი აშშ-ში "სასარგებლო და პოზიტიური მოვლენა იყო, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ რელიგიის სფერო აშშ-ში გამოიყენება ყველა სახის ანტისაბჭოთა ქმედებებისთვის". (Corley, 1996, p. 276).

როგორც ვხედავთ, რელიგიის სფერო მხოლოდ აშშ-ში არ იყო გამოყენებული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ინტერესებისთვის. მისი გამოყენება ყველაზე მეტად, საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა საკუთარი ინტერესების დასაცავად. ვინაიდან, სწორედ რელიგია იყო საბჭოთა „ძლევამოსილი იმპერიის" ყველაზე სუსტი წერტილი და იმავდროულად, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერკეტი დასავლეთის სახელმწიფოთა ხელში, პოლიტიკური მეტოქის დასასუსტებლად. აქედან გამომდინარე, სრულებით არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ XX ს-ის 70-იანი წლებიდან ლ. ბრეჟნევის ხელისუფლებამ ფართო ასპარეზი გაუხსნა რელიგიურ პირებს საერთაშორისო მასშტაბით მოღვაწეობისთვის (ცხადია, შესაბამისი სამსახურების კონტროლის ქვეშ).

ჰელსინკის აქტის პრინციპების პრაქტიკაში რეალიზებისა და მოქალაქეთა რელიგიური უფლებების პატივისცემის საჯარო დემონსტრირებას ისახავდა მიზნად 1977 წელს სსრკ-ს ახალი კონსტიტუციის მეშვიდე თავი, რომელიც ეხებოდა სსრკ-ს მოქალაქეების ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს. კონსტიტუციის 52-ე მუხლში ეწერა:

> *„საბჭოთა სოციალისტური ხესპუბლიკების კავშირის მოქალაქეებს აქვთ სინდისის თავისუფლება, ხაც ნიშნავს იმას, ხომ მათ აქვთ უფლება, აღიარონ, ან არ აღიარონ ნებისმიერი ხელიგია, ჩაატარონ ღვთისმსახურება, ან ათეისტური პროპაგანდა. მტრული დამოკიდებულების წაქეზება, ან სიძულვილი ხელიგიურ საფუძველზე, იკრძალება. საბჭოთა სოციალისტუ-*

ხი ხესპუბღიკების კავშიხში ეკღესია გამოყოფიღია სახეღმწიფოსგან, ხოღო სკოღა - ეკღესიისგან." (Конституция, 1985, стр. 20).

თანამედროვე შვეიცარიელი მკვლევარი, სლავისტი, ულრიხ შმიდი, თავის სტატიაში „საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ძირითადი კანონების რიტორიკული და ჟანრული გამორჩეულობა", 1977 წლის საბჭოთა კონსტიტუციას „განვითარებული სოციალიზმის სახარებას" უწოდებს და სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „ახალი კონსტიტუცია საკმაოდ ფიქციური და კვაზირელიგიური იყო. მას არ ჰქონდა საერთო რეალობასთან." (შმიდი, 2013). მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ქვეყნის მოქალაქეებს დეკლარირებულად აძლევდა ნებისმიერი რელიგიის აღიარებისა და ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას, პრაქტიკაში ამ უფლების რეალიზების საშუალება მათ ძალიან შეზღუდული ჰქონდათ. ამ მხრივ ძალიან საინტერესო დოკუმენტია იმავე წლის (1977 წ.) ნოემბერში, ლიტვის სსრ-ის მინისტრთა საბჭოს კომისრის - კ. ტუმენასის მიერ გაცემული მიმართვა, სადაც ნათლად ჩანს თუ რელიგიური ცხოვრების რომელ სფეროებს აკონტროლებდა ხელისუფლება:

„რელიგიური მდგომარეობა რაიონში, ქალაქში. რელიგიური თემების საქმიანობის აღწერისას, სასულიერო პირების მიერ რელიგიური ცხოვრების გასააქტიურებლად გამოყენებული მეთოდები, ქადაგებების შინაარსი (დაურთეთ ნებისმიერი ჩაწერილი ქადაგების ასლები), ეკლესიებსა და სამლოცველოებში დასწრება; კრების ნომრები და მომსახურე პერსონალი (შესაბამისად თანდართული ფორმა); დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების სტატისტიკა რაიონში, ქალაქზე. რელიგიური თემების საერთო ფინანსური მართვის საქმიანობა (თანდართული ფორმის შესაბამისად). საკულტო კანონების დაცვაზე მონიტორინგის ორგანიზაცია; ამ საქმიანობის მონიტორინგის კომისიების საქმიანობა; საკულტო კანონების დარღვევისა და დამნაშავეებთან მიმართებაში მიღებული ზომების ანალიზი. მიღებული საჩივრები და განცხადებები რელიგიურ საკითხებზე; მათი თემები და მათი შემოწმების შედეგები. (Corley, 1996, p. 277).

როგორც ვხედავთ, 1977 წლის დასასრულისთვის ბრეჟნევის ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა ორმაგი სტანდარტით ხელმძღვანელობას. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია გაუშვეს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე, მას არ მიეცა სოციალური ბაზის გაზრდის უფლება და უფრო მეტიც, გაიზარდა რელიგიურ თემებზე კონტროლის ხარისხი. დაიწყო ტაძრების მასობრივი დახურვა. რელიგიური ლიტერატურის ოფიციალური გამოცემა მკაცრად იყო შეზღუდული. ხრუშჩოვის მიერ დახურული არცერთი მონასტერი ან სემინარია არ გახსნილა და მხოლოდ მინიმალური რაოდენობის ეკლესიები. (Ramet, 1993/2005); (Сазонов, 2015).

მიუხედავად აღნიშნულისა, 70–იანი წლების II ნახევრიდან საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რესპუბლიკების მოსახლეობაში (განსაკუთრებით ინტელიგენციაში) ჩნდება სერიოზული ინტერესი მართლმადიდებლობისადმი, ვინაიდან საზოგადოება მართლმადიდებელ ეკლესიაში ხედავდა ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის დამცველსა და შემნარჩუნებელს. გაჩნდა ჟურნალები, რომლებიც რელიგიურ თემატიკას განიხილავდნენ. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სმოლენსკსა და სხვა ქალაქებში ახალგაზრდები იკრიბებოდნენ ე.წ. რელიგიურ–ფილოსოფიურ სემინარებზე, სადაც ყურადღება გამახვილებული იყო რწმენისა და რუსული რელიგიური ფილოსოფიის საკითხებზე. შეიქმნა აგრეთვე ქალთა მართლმადიდებლური ჯგუფები და სხვ. (Штриккер, 1995).

ქრისტიანული ეკლესიისადმი საზოგადოების მზარდი ინტერესი ბრეჟნევის ხელისუფლებაში შეშფოთებას იწვევდა. სამთავრობო გუნდი კარგად ხედავდა და იაზრებდა იმ გარემოებას, რომ არჩეულმა სტრატეგიამ ვერ გაამართლა. საზოგადოებაში ათეისტური ცნობიერების განმტკიცების ნაცვლად, მან პირიქით, მოსახლეობის რელიგიასთან უფრო მეტად დაახლოების პროვოცირება მოახდინა და დროსთან ერთად, ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენდა.

კრემლისთვის კიდევ ერთი დარტყმა იყო 1978 წლის ოქტომბერში პოლონელი კარდინალის - კაროლ ვოიტილას (იოანე პავლე II) რომის პაპად არჩევა, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია რელიგიური პოლიტიკის მესვეურებში. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება შიშობდა ქვეყნის ტრადიციულ კათოლიკურ რეგიონებში (განსაკუთრებით, ლიტვაში) კათოლიკური საქმიანობის მოსალოდნელი აღორძინების გამო. 1979 წლის ზაფხულში, ახალი პაპის ტრიუმფალურმა ვიზიტმა პოლონეთში, გაამართლა მოსალოდნელი საფრთხის შიში. (Anderson, 1994/2002). ბრეჟნევის ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ საჭირო იყო სწრაფი რეაგირება აღნიშნული საფრთხის განეიტრალებისთვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის სამდივნოს 1979 წლის 13 ნოემბრის დადგენილებიდან ირკვევა, რომ სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს და სსრკ კგბ-ს დაევალათ, შეესწავლათ ვატიკანის ახალი „აღმოსავლეთის პოლიტიკა" და მისი ნეგატიური ასპექტები და საჭიროების შემთხვევაში, წარედგინათ შესაბამისი წინადადებები. (Corley, 1996, p. 279). ასევე, ლიტვის, ლატვიის, უკრაინისა და ბელორუსიის კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. სახელმწიფო ტე-

ლევიზიასა და რადიოს, რელიგიის საქმეთა საბჭოს დაევალათ ქვეყნის შიგნითა თუ საზღვრებს გარეთ, საჭირო საინფორმაციო-პროპაგანდისტული ღონისძიებების გატარება. (Corley, 1996, p. 278).

მოცემული დადგენილება ცხადყოფს, რომ კრემლი საფრთხეს მხოლოდ ბალტიისპირეთიდან და სხვა კათოლიკური ტერიტორიებიდან არ ელოდა. გარდა იმისა, რომ დადგენილება წარმოადგენდა პასუხს, ვატიკანის გამოწვევაზე, ეს დოკუმენტი შეგვიძლია საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ახალი ეტაპის ოფიციალურ დასაწყისადაც მივიჩნიოთ. დადგენილება, სახელმწიფო სტრუქტურების გარდა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიას, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასა და სამეცნიერო ათეიზმის ინსტიტუტს ავალებდა თავიანთი კვლევების სპექტრის გაფართოებას მეცნიერული ათეიზმის სფეროში. აგრეთვე, ყურადღების გაზრდას ეკლესიებისა და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის შესწავლაზე. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიურ საკითხთა საბჭოს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, ევალებოდათ ეკლესიების ქმედებებისა და სოციალისტურ ქვეყნებში რელიგიური გავლენის შესახებ ცნობების შეგროვება და მიწოდება. (Corley, 1996, p. 279).

აშკარა იყო, რომ ხელისუფლება იწყებდა ქვეყნის ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურ მობილიზებას რელიგიასთან ბრძოლაში და ეს მხოლოდ ვატიკანისგან მომავალი საფრთხით არ იყო გამოწვეული.

ბრიტანელი პროფესორი, ჯონ ფილიპ ანდერსონი ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკის რადიკალიზაციის ერთ-ერთ მიზეზს 1979 წელს ირანში აიათოლა ჰომეინის დაბრუნებასა და ისლამური რევოლუციის გამარჯვებაში ხედავს. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ირანში განვითარებულმა მოვლენებმა გაამძაფრა საბჭოთა ხელისუფლების შეშფოთება მობილიზებული რელიგიური ძალებისა და იმ პოტენციური საფრთხის მიმართ, რასაც ის უქმნიდა საბჭოთა სისტემას. „1979 წლის აგვისტოში ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დასკვნა ეხებოდა იმას, რომ ამ სფეროში პროპაგანდისტული საქმიანობის შესუსტებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების რიცხვის გაზრდას რელიგიურ რიტუალებში ან არალეგალურ რელიგიურ სკოლებსა თუ ბანაკებში. (Anderson, 1994/2002, p. 86). არარელიგიური წარმომავლობის ახალგაზრდებიც რელიგიური გავლენისადმი მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ. გაიზარდა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაზე დამსწრე ახალგაზრდების რიცხვი. ასევე, მასწავლებლების, ინჟინრების. იზრდებოდა განათლებულ მორწმუნეთა რიცხვი. შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება რელიგიისადმი და 70-იანი წლების მიწურულს ის უკვე წარმოადგენდა განახლებულ რელიგიურ საზოგადოებას.“ (Anderson, 1994/2002, p. 86).

როგორც ვხედავთ, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლ. ბრეჟნევის კომპრომისული, ფასადურად „ლიბერალური“ დამოკიდებულება რელიგიური თემებისა და ეკლესიის მიმართ იცვლება რადიკალური, მკაცრი პოლიტიკით, რაც მეტწილად, შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული:

ა) საზოგადოებაში ეკლესიის მიმართ ინტერესის გაზრდა,

ბ) დისიდენტური მოძრაობის გაძლიერება,

გ) პოლონელი კარდინალის იოანე პავლე II-ის რომის პაპად არჩევა და კათოლიკური პროპაგანდის გაძლიერება სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში,

დ) სსრკ-ს საზღვრებთან ახლოს რელიგიური (ისლამური) რევოლუციის გამარჯვება

ყოველივე აღნიშნულის ნიადაგზე, საბჭოთა ხელისუფლება იწყებს ხისტი, რეპრესიული ზომების გატარებას დაუმორჩილებელი, აქტიური მორწმუნეების მიმართ. 1978-1979 წლებში იწყება ადამიანის უფლებათა დამცველი და ცნობილი რელიგიური აქტივისტების დაპატიმრება, ციხეებსა და შრომით ბანაკებში გამოკეტვა. (Walters, 1993/2005, pp.26-27). გრძელდება 1975 წელს დაწყებული, ეკლესიების მასობრივი დახურვა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1982 წლისთვის (ბრეჟნევის გარდაცვალების დროისთვის) რუსეთის ეკლესია მხოლოდ 7001 სამრევლოს და 16 მონასტერს ითვლიდა. (Сазонов, 2015, стр. 47). უოლტერსის ცნობით კი, 80-იანი წლების დასაწყისისთვის მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიების რაოდენობა პრაქტიკულად იგივე იყო, რაც 1964 წელს ხრუშჩოვის გადაყენების დროს. ციხეებსა თუ შრომით ბანაკებში გამოკეტილ მორწმუნეთა რიცხვი კი, 1979 წლიდან - 1985 წლამდე 180-დან - 411-მდე გაიზარდა. (Walters, 1993/2005, pp. 26-27).

ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტებისა და მორწმუნეთა მიმართ რეპრესიული პოლიტიკის შესახებ საუბრობს ქართველი მკვლევარიც, ისტორიის დოქტორი - ლელა სარალიძე: „საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევები, რეპრესიები და საკუთარი მრწამსის გამო დაპატიმრებები, განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც საბჭოთა მთავრობამ ჰელსინკის შეთანხმებას მოაწერა ხელი. სამოცდაათიანი წლების მიწურული და ოთხმოციანი წლების პირველი ნახევარი საბჭოთა ხელისუფლების ანტიჰელსინკური მოქმედებით ხასიათდებოდა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, შენიღბულად, მილიციის სახელით მოქმედებდა და სხვადასხვა პროვოკაციას მიმართავდა, ხოლო შემდეგ, შეთითხნილი ბრალდებებით, ვი-

თომდა ხულიგნობის, ქურდობის გამო, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანაკებში გზავნიდა სინდისის პატიმრებს. საბჭოთა უფლებადამცველები თავისსავე მიღებულ კანონებს უგულებელჰყოფდნენ. (სარალიძე, 2015, გვ. 50).

ამგვარად, მმართველობის დასასრულს, ლ. ბრეჟნევის რელიგიური პოლიტიკა მისი წინამორბედის პოლიტიკის პრაქტიკულ გაგრძელებად იქცა, თუმცა, შედარებით მცირე მასშტაბებით. აღნიშნულს, როგორც ზემოთ განვმარტეთ, თავისი გამომწვევი მიზეზები ჰქონდა, თუმცა, ხელისუფლებამ ვერ შეძლო ამ გამოწვევებთან რაციონალური მეთოდებით გამკლავება და საგრძნობლად დაშორდა მოღვაწეობის დასაწყისში არჩეულ კურსს. 60-იან წლებში შემუშავებული ფრთხილი, კომპრომისული სტრატეგია, რომელსაც რელიგიის აღმოფხვრა ვერა, მაგრამ სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯის გარკვეულ დონეზე რეაბილიტირება შეეძლო, უგულებელყოფილ იქნა და ჩანაცვლდა რადიკალური, რეპრესიული პოლიტიკით, რომლის გმობაც ლ. ბრეჟნევის ძალაუფლების ფუნდამენტს წარმოადგენდა. სახელისუფლებო აპარატმა თავად დაიწყო იმ ზომების გატარება, რომლის წარუმატებლობის შესახებაც ჩიოდა მმართველობის დასაწყისში. ერთი შეხედვით, აღნიშნული ცდება რაციონალური მოქმედების საზღვრებს, თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 70-იანი წლების მოვლენებმა და რელიგიური და დისიდენტური მოძრაობების აღმავლობამ ხელისუფლებას დააკარგვინა ვითარების რეალისტურად შეფასებისა და რეაგირების უნარი. დილემა აშკარა იყო, მაგრამ მისი არსი, ვფიქრობთ, მდგომარეობდა არა იმაში, რომ ბრეჟნევის ხელისუფლებამ ვერ შეძლო რეპრესიების ალტერნატიული გზის მოფიქრება (და ეს ალტერნატივა შეიძლებოდა ყოფილიყო ეკლესიასთან რეალური შერიგება და თანამშრომლობა), არამედ იმაში, რომ სწორედ ეს ალტერნატივა შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ძალაუფლების კოლაფსისა და ხელისუფლებიდან ჩამოცილების საწინდარი. რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, ვინაიდან რელიგიასთან შერიგება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალური, ათეისტური იდეოლოგიის მრავალწლიან, ფუნდამენტურ პრინციპებს.

კვლევის შედეგების შეჯამების მიზნით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლ. ბრეჟნევის საეკლესიო პოლიტიკა XX ს-ის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან - 80-იანი წლების დამდეგამდე, გარდამავალი ტენდენციებით ხასიათდებოდა, რაც სრულებით არ შეესაბამება რუსულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებულ კონცეფციას მისი სტაბილურობის შესახებ.

მისი ძირითადი მახასიათებლები შეგვიძლია შემდეგი ნიშნებით გამოვყოთ:

60-იანი წლების II ნახევრიდან - 70-იანი წლების II ნახევრამდე:

ა) ფრთხილი, კომპრომისული ტაქტიკა რელიგიურ თემებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში,

ბ) ხრუშჩოვის ანტირელიგიური, რეპრესიული პოლიტიკის გმობა და რეპრესირებულ პირთა რეაბილიტაცია,

გ) ანტირელიგიური პროპაგანდის შესუსტება,

დ) საკანონმდებლო შეზღუდვების შემსუბუქება რელიგიური ორგანიზაციებისა და მორწმუნეთათვის,

ე) ეკლესიისთვის გარკვეული თავისუფლების მინიჭება ღვთისმსახურებისა და ტრადიციული ფუნქციების აღსრულებისთვის

ვ) მორწმუნეთა და სამღვდელო პირთა დიფერენცირება „დაყავი და იბატონეს“-ს პრინციპით,

ზ) ათეისტური პროპაგანდისა და ეკლესიაზე კონტროლის გააქტიურება

70-იანი წლების II ნახევრიდან - 1982 წლამდე:

ა) ეკლესიაზე ტოტალური კონტროლის დამყარება,

ბ) რელიგიურ მოღვაწეთა ჩართვა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წარმართვის საქმეში

გ) ათეისტური პროპაგანდის განსაკუთრებული გაძლიერება აკადემიურ და სამეცნიერო დონეზე

დ) რელიგიურ ორგანიზაციათა და მორწმუნეთა მიმართ ღია, პირდაპირი რეპრესიები

დასასრულს, შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ ლ. ბრეჟნევის არაერთგვაროვანმა, ტრანსფორმაციულმა რელიგიურმა პოლიტიკამ 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს კვლავ ჩიხში შეიყვანა ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობები, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა როგორც ეკლესიათა საერთო მდგომარეობას, ისე ხელისუფლების ავტორიტეტსა და ზოგადად, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებს. მართალია, მისი დარეგულირების მცდელობებს მოგვიანებით, მ. გორბაჩოვის ე.წ. „გარდაქმნის“ პოლიტიკაში ვხვდებით, თუმცა, აშკარა გახდა, რომ რელიგიური და დისიდენტური მოძრაობების წარმატება გარდაუვალი იყო.

ბუნებრივია, ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია ამ კომპლექსური საკითხის ამოწურვა, თუმცა, ვფიქრობთ, მოცემული გამოკვლევა ხელს შეუწყობს ქართულ სამეცნიერო სივრცეში ამ მიმართულებით კვლევების შემდგომ განვითარებას.

ლიტერატურა
და წყაროები

გურული, ვ. (რედ.) (2003). *საქართველოს ისტორია XX საუკუნე,* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: არტანუჯი

ლორია, ვ., გელაშვილი ბ., ბენდელიანი მ. (2006). *ადამიანის უფლებები და ჰელიგია,* თბილისი : თობალისი. (ელექტრონული ვერსია)

ნერგაძე, ნ. (2010). ჰელსინკის დეკლარაცია 35 წლისაა - რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ დოკუმენტს? https://www.radiotavisupleba.ge/a/2117774.html?fbclid=IwAR0Y33MDkElsbJT3p2hmlmNfUecy8jKdi8F45swV_uaNkdH0PaQ0cECCtd4 (დამოწმებულია 16. 05. 2022)

სარალიძე, ლ. (2015). „საქართველოს ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობის ისტორიიდან“, *ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“*, N1 (16), თბილისი : უნივერსალი

შმიდი, უ. (2013). „საბჭოთა კავშირისა და რუსეთის ძირითადი კანონების რიტორიკული და ჟანრული გამორჩეულობა“, თარგმანი გიორგი ნონიაშვილის https://emcrights.wordpress.com/2013/11/30/4569878/ (დამოწმებულია 16. 05. 2022) https://socialjustice.org.ge/ka/products/konstitutsia-da-narativi (დამოწმებულია 16. 05. 2022)

Конституция (Основной Закон) Союза Советских Социалистических Республик (1985) ; *Конституции (Основные Законы) Союзных Советских Социалистических Республик.* - Москва : Известия Советов народных депутатов СССР, Президентская библиотека имени Бориса Ельцина (ელექტრონული ვერსია) https://www.prlib.ru/item/420914 (დამოწმებულია 16. 05. 2022)

Сазонов, Д. И. (2015). Брежневские гонения на Церковь (по материалам Центральной России), *Исторические науки и археология, Вестник КГУ им. Н.А. Некрасова № 6, 46-50* (ელექტრონული ვერსია)

Цешковский, В. (2013). “Русская Православная Церковь в эпоху правления Брежнева”, http://history-mda.ru/publ/3137_3137.html (დამოწმებულია 27. 12. 2021)

Штриккер, Г. (1995). Русская Православная Церковь в советское время (1917-1991), *Материалы и документы по истории отношений между государством и Церковью*, Москва: “Пропилеи” (ელექტრონული ვერსია)

Anderson, J. (1994/2002). *Religion, state and politics in the Soviet Union and successor states,* University of St Andrews, Cambridge: Cambridge University Press, Transferred to digital printing 2002 (ელექტრონული ვერსია)

Childers, B. (2012). *The Plurality of Soviet Religious “Policy”,* The Florida State University (ელექტრონული ვერსია), https://diginole.lib.fsu.edu/islandora/object/fsu%3A182805 (დამოწმებულია 16.05.2022)

Conquest, R. (1968). *Religion in the USSR*, New York : Praeger (ელექტრონული ვერსია)

Corley, F. (1996). *Religion in the Soviet Union* , An Archival Reader, London: Macmilan Press Ltd (ელექტრონული ვერსია)

Kowalewski, D. (1980). Religious Belief in the Brezhnev Era: Renaissance, Resistance and Realpolitik,*Journal for the Scientific Study of Religion, Vol. 19, No. 3, pp. 280-292 (ელექტრონული ვერსია)*

Walters, Ph. (1993/2005). A survey of Soviet religious policy, *Religious policy in the Soviet Union*, Cambridge: Cambridge University Press (ელექტრონული ვერსია)